ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 319

23 ივლისი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №64 (ს/კ. №01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ამხანაგობა „ღრმაღელეს" (ს/ნ. 100189911) და შპს „არქი გურამიშვილი"-ს (ს/ნ. 405422591) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №64 (ს/კ. №01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ამხანაგობა „ღრმაღელეს" (ს/ნ. 100189911) და შპს „არქი გურამიშვილი"-ს (ს/ნ. 405422591) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 15 ივლისის №21.982.1109 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ამხანაგობა „ღრმაღელეს" (ს/ნ. 100189911) და შპს „არქი გურამიშვილი"-ს (ს/ნ. 405422591) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №64 (ს/კ. №01.12.01.005.040) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №20.1445.1783, 07.12.2020) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №406, 15.12.2020) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) არქიტექტურული პროექტი დამუშავდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების იმ მოთხოვნების დაცვით, რომელიც წარმოდგენილია №10/01211693554-01, 18.06.2021 განცხადებით;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს №10/01211693554-01, 18.06.2021 განცხადებით წარმოდგენილი კორექტირებული არქიტექტურული ესკიზი და სართულის გეგმარება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64)კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე